

## თანხმობა პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე.

წინამდებარე თანხმობა არეგულირებს უფლებრივ ურთიერთობებს პერსონალური მონაცემების დამუშავების სფეროში სასტუმრო-გამაჯანსაღებელ კომპლექსს "Castello Mare Hotel & Wellness Resort", შემდეგში- „სასტუმრო“ (მის: ციხისძირი, ქობულეთი, 6200, აჭარა, საქართველო) და სტუმარს შორის, რომელიც აწოდებს თავის მონაცემებს დასამუშავებლად გვერდზე <https://castellomare.com/>.

1. საქართველოს კონსტიტუციითა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437?publication=19>) საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულების მიზნით, პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ და მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგლამენტის თანახმად (General Data Protection Regulation; GDPR), ვაძლევ თანხმობას სასტუმროს ჩემი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, კერძოდ: გვარის, სახელის, მამის სახელის, დაბადების თარიღის, დაბადების ადგილის, სქესის, მოქალაქეობის, საპასპორტო მონაცემების, რეგისტრაციის მისამართის, საცხოვრებელი ადგილის მისამართის, რეგისტრაციის თარიღის, ტელეფონის ნომრის, ელ. ფოსტის მისამართის, საბანკო ბარათის ნომრის, პასპორტის მოქმედების ვადის.
2. წინამდებარე თანხმობა ჩემი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე გაიცემა ჩემს მიერ ნომრის დაჯავშნის, სასტუმროში რეგისტრაციის, ცხოვრების და / ან კვების განსაკუთრებული პირობების უზრუნველყოფის მიზნით, და ასევე მარკეტინგული კვლევების ჩატარების, სარეკლამო წინადადების და საინფორმაციო შეტყობინებების გაგზავნის, ხარისხის კონტროლის, ახალი სასტუმრო მომსახურების ფორმირების, და ასევე გამაჯანსაღებელი ცენტრის და SPA მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით.
3. ჩემი პერსონალური მონაცემების დამუშავების დროს სასტუმროს მიერ შეიძლება შესრულებული იქნას შემდეგი მოქმედებები: სასტუმროს საინფორმაციო სისტემებიდან პერსონალური მონაცემების შეკრება, ჩაწერა, სისტემატიზაცია, დაგროვება, შენახვა, დაზუსტება (განახლება, შეცვლა), ამოღება, გამოყენება, სამიგრაციო აღრიცხვის ორგანოებზე გადაცემა, გაუპიროვნება, ბლოკირება, წაშლა, განადგურება.
4. პერსონალური მონაცემების ჩემი თანხმობის გარეშე კონფიდენციალურობის და მესამე პირებზე, ან სხვა მიზნებისათვის, გარდა განცხადებულისა, გაუზრცელებლობის გარანტიას იძლევა სასტუმრო. პერსონალური მონაცემები სასტუმროს მიერ შეიძლება გამჟღავნებული იქნას მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
5. პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობა, ჩემს მიერ შეიძლება იქნას გაწვეული, სასტუმროს მისამართით წერილობითი გამოხმობის ან პერსონალური მონაცემების გამოხმობის შესახებ განცხადების სასტუმროს უფლებამოსილი პირისათვის ხელწერილით ჩაბარების გზით.

6. პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე საკუთარი თანხმობის გამოხმობის შემთხვევაში, სასტუმრო უფლებამოსილია განაგრძოს პერსონალური მონაცემების დამუშავება ჩემი თანხმობის გარეშე მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
7. სასტუმროს მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება წარმოებს ავტომატიზაციის საშუალებების გამოყენებით და ასეთი საშუალებების გამოყენების გარეშეც.
8. წინამდებარე თანხმობა ძალაშია წერილობით ფორმაში მის გამოხმობის დღემდე.

ფორმის შევსებით და ღილაკზე „გაგზავნა“ დაჭერით, ფორმაში და/ან სხვა თავებში ვებ- გვერდზე <https://castellomare.com/>, მე ვადასტურებ თანხმობას სასტუმროს მიერ ჩემი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე.